სარჩელი

ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	204952676	ქ.თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. #39ბ. მე-4 სართული.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	032 2 22 38 74			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე	01015010047 18001007618	ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ.#39ბ. მე-4 სართული; ქ. თბილისი, კოსტავას ქ.#76ა. ბ.6;
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599902520 599717407		ngujaraidze@greenalt.org irma_maxatadze@yahoo.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2. საქართველოს მთავრობა		1. ქ.თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ.#6. 2. ქ.თბილისი. პ.ინგოროყვას ქ.#7.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *SeniSvna-1*
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ..	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	samuSao adgili da samuSao adgilis misamarTi

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2019 წლის 21 მარტს შპს არემჯი აურამაინის გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რომლითაც აცნობა, რომ კომპანიას დაგეგმილი აქვს ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობა და განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მოსაპოვებლად წარუდგინა ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში. 2019 წლის 12 აპრილს სოფელ ბექთაკარში ჩატარდა სკოპინგის ანგარიშის განხილვა, რომელსაც მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საჯარო განხილვის შემდეგ, მოვითხოვეთ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება და როგორც ადგილზე გასვლის შედეგად გაირკვა არ ემ ჯი აურამაინს არა თუ დაგეგმილი, არამედ უკვე დამთავრებული ჰქონდა მშენებლობა. აღნიშნულის შესახებ მწვანე ალტერნატივამ მინისტრს აცნობა და შესაბამისი ნებართვის გარეშე სალექარის მშენებლობის ფაქტისა და სკოპინგის დასკვნის მოტყუებით მოპოვების გამოძიება მოითხოვა. 2019 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N 2-1010 „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“.

ადმინისტრაციულმა ორგანომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საჯარო უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის უხეში დარღვევით. შესაბამისად, 2019 წლის 25 ოქტომბერს მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობაში წარადგინადა მოითხოვა - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა. მთავრობის გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, თუ კონკრეტულად რომელ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით დაასკვნა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებაში N 2-1010 განმარტებული მისი სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და რატომ არ უნდა განიხილოს სზაკ-ის 178.3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობამ.

ამდენად, წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1.ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 21 მარტს შპს არემჯი აურამაინის გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რომლითაც აცნობა, რომ კომპანიას დაგეგმილი აქვს ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობა და განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მოსაპოვებლად წარუდგინა ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

მტკიცებულება:

დანართი 1: შპს არემჯი აურამაინის გენერალური დირექტორის 2019 წლის 21 მარტის წერილი.

2. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 28 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს ,,არ ემ ჯი აურამაინის'' ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს ტერიტორიაზე, რეზერვუარ-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე. განცხადებაში აღნიშნული იყო:

<u>დაგეგმილი საქმიანობის</u> დასახელება: 17800 მ3 რეზერვუარ-სალექარის მოწყობის პროექტი;
<u>დაგეგმილი საქმიანობის</u> განმახორციელებელი: შპს ,,არ ემ ჯი აურამაინი'';
<u>დაგეგმილი საქმიანობის</u> განხორციელების ადგილი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბერთაკარი;
<u>დაგეგმილი საქმიანობის</u> სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2019 წლის 12 აპრილი, 11:00 საათი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბექთაქარის არასრული საშუალო სკოლის ადმინისტრაციული შენობა
საჯარო განხილვის ორგანიზატორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მტკიცებულება:

დანართი 2: 2019 წლის 28 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება.

3. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 12 აპრილს სოფელ ბერთაკარში ჩატარდა დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განხილვა, რომელსაც მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საჯარო განხილვის შემდეგ, მოვითხოვეთ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. როგორც ადგილზე გასვლის შედეგად გაირკვა არ ემ ჯი აურამაინს არა თუ დაგეგმილი, არამედ უკვე დამთავრებული ჰქონდა მშენებლობა. საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილი იყო ორი სალექარი. აღნიშნულის შესახებ მწვანე ალტერნატივამ მინისტრს აცნობა და შესაბამისი ნებართვის გარეშე სალექარის მშენებლობის ფაქტისა და სკოპინგის დასკვნის მოტყუებით მოპოვების გამოძიება მოითხოვა.

მტკიცებულება:

დანართი 3: მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 15 აპრილის #09/01-210 წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

4.ფაქტობრივი გარემოება

მწვანე ალტერნატივას საჩივარი მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მხოლოდ 2019 წლის 23 აპრილს გადაუგზავნა და კომპეტენციის ფარგლებში საკითხის შესწავლა სთხოვა.

მტკიცებულება:

დანართი 4: მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 2019 წლის 23 აპრილის N 4135/01 წერილი

5. ფაქტობრივი გარემოება
დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განხილვის ოქმი მხოლოდ 2019 წლის 17 აპრილს შეადგინა და დაადასტურა გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა დავით დემურიამ.

ოქმის თანახმად, „საჯარო განხილვის სხდომის დასრულების შემდგომ განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. ადგილზე აღმოჩნდა, რომ კომპანიის მხრიდან თითქმის დასრულებული იყო 17800მ3-ის მოცულობის რეზერვუარ-სალექარის სამშენებლო სამუშაოები და დარჩენილი იყო მხოლოდ მცირე რაოდენობის ტექნოლოგიურ პროცესში გათვალისწინებული უბნების დაერთება და შემოწმება. ვიზუალური შეფასებით დათვალიერების პროცესში სალექარის ფორმირება დასრულებული იყო და ზედ განთავსებული იყო გეომემბრანა, თუმცა ექსპლუატაციაში შესული ჯერ არ ყოფილა. ადგილზე მუშა მოსამსახურეების სიტყვიერი განმარტებით სამუშაოს განხორციელება დაწყებული იყო რანდენიმე თვის წინ“ [ანუ, სკოპინგის ანგარიშის წარდგენისას მშენებლობა უკვე დაწყებული იყო]. ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი რომელიც დაადასტურებდა სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ან მისი ზემდგომის მიერ კანონდარღვევის ფაქტის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის შეტყობინების ფაქტს.

მტკიცებულება:
დანართი: 5: საჯარო განხილვის ოქმი

6. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 15 აპრილს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს, ირაკლი მუკნიაშვილს, ასევე, მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციამ „საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის“. ორგანიზაციის წერილში აღნიშნული იყო: „სალიცენზიო ტერიტორიაზე გასვლისას დავაფიქსირეთ, რომ უკვე აშენებულია ორი სალექარი. ერთი 9500 კუბ.მ ტევადობის, ხოლო მეორე გაცილებით დიდი. კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, რომ საჯარო განხილვაზე გამოტანილი პროექტის მიხედვით, თითქოს, იგეგმება მეორე სალექარის გაფართოება 17800 კუბ.მ მოცულობამდე, რაც, ჩვენი აზრით, უნებართვო მშენებლობის არსებობის დამალვის მცდელობაა“

მტკიცებულება:
დანართი 6: არასამთავრობო ორგანიზაცია „საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის“ 2019 წლის 15 აპრილის #გ-116 წერილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს.

7. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 23 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით გაუგზავნა საქართველოს პარლამენტის წევრის კახაბერ კუჭავას 2019 წლის 16 აპრილის წერილი, რომლის მიხედვით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს ააიპ “საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისათვის“ თავმჯდომარემ აცნობა, რომ 2019 წლის 12 აპრილს „საყდრისის კომიტეტის წევრები ესწრებოდნენ სკოპინგის ანგარიშის განხილვას და წარდგენილი პროექტით კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ უნებართვო მშენებლობის დამალვას. მინისტრის მოადგილემ დეპარტამენტს სთხოვა საკითხის განხილვა.

მტკიცებულება:
დანართი 7: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 2019 წლის 23 აპრილის #4136/01 წერილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

8. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 24 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა კვლავ მიმართა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და აცნობა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტში სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე

ტერიტორიაზე 17800მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით. მინისტრის მოადგილის წერილის თანახმად, 2019 წლის 12 აპრილს ადმინისტრაციულ წარმოების ეტაპზე მოეწყო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა და საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილია ორი სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარი-სალექარი. წერილის თანახმად, წერილს თან ერთვოდა პროექტის სკოპინგის ანგარიში, საპროექტო ტერიტორიაზე გადაღებული ფოტომასალას და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2019 წლის 15 აპრილის N 09/01-210 წერილი.

მტკიცებულება:
დანართი 8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 2019 წლის 24 აპრილის წერილი #4143/01 სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

9. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 12 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა მიმართა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. წერილში აღნიშნული იყო „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ, მიმდინარე წლის 21 მარტს N4343 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ტექნოლოგიური მიზნებისთვის 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში. გიგზავნით წარმოდგენილ პროექტის სკოპინგის ანგარიშს და Shape ფაილებს. გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ აღნიშნული კორესპონდენცია და მიმდინარე წლის 19 აპრილამდე გვაცნობოთ, პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ ტერიტორიებთან დაკავშირებით თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები.

მტკიცებულება:
დანართი 9. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 2019 წლის 12 აპრილის #3766/01 წერილი სსიპ-ებს.

10. ფაქტობრივი გარემოება
წარმოების მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება იმისა, რომ მინისტრის მოადგილემ სსიპ-ებს აცნობა დაგეგმილი საქმიანობის უკვე განხორციელების შესახებ. შესაბამისად, წარმოების მასალებში არის სსიპ-ების პასუხები დაგეგმილ საქმიანობაზე მათი მოსაზრებების შესახებ.

მტკიცებულება:
დანართი 10. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2019 წლის 23 აპრილის წერილი;
დანართი 11. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 8 მაისის წერილი;
დანართი 12. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის 2019 წლის 19 აპრილის წერილი;
დანართი 13. სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს 2019 წლის 17 აპრილის წერილი;
დანართი 14. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2019 წლის 17 აპრილის წერილი;
დანართი 15. სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს 2019 წლის 19 აპრილის წერილი.

11. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 15 აპრილს #09/01-210 წერილით შესაძლო კანონდარღვევის ფაქტის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებისა და ფაქტის შესწავლისათვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ 2019 წლის 10 მაისს გაგზავნილი მოთხოვნის პასუხად, სამინისტრომ გვაცნობა, რომ:
„1. ადგილზე განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ მიწის ექსკავაციისას, კერძოდ გვირაბის პორტალის შესასვლელის, სალექარების, გვირაბის გაყვანის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების, სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზის, სამშენებლო მოედანის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობის პროცესში, არ განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება "ნიადაგის ნაყოფიერი ფენის

მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის, ასევე მე-11 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

2. როგორც იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 მაისის №185054 წერილით დადგინდა, სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებული ტერიტორია (უძრავი ნივთი), სადაც მოწყობილია ავტოსადგომი (ფართობი 500 მ2) საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენს სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, შესაბამისად, კომპანიის მიერ, მიწის გამოყენება ხდება არამიზნობრივად. ამდენად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე, 512 და 532-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051570 და №051571 ოქმები. ასევე გამოანგარიშდა მიწების (ნიადაგის) დეგრადაციის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 1105,74 ლარი. ოქმები თანდართული მასალებით, განსახილველად დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES91900038224 და №DES41900038229 წერილებით, გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

3. ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, შპს "არ ემ ჯი აურამაინი" ვალდებული იყო, შეემუშავებინა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და შესათანხმებლად წარედგინა სამინისტროში, რაც კომპანიას არ განუხორციელებია.

4. ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, შპს "არ ემ ჯი აურამაინი" ვალდებული იყო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანების შესაბამისად, 2018 წელს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია, ელექტრონულად http://waste.moe.gov.ge-ს მეშვეობით, 2019 წლის 1 მარტამდე, წარედგინა სამინისტროში, რაც კომპანიას არ განუხორციელებია. ამდენად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილით და 44-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051573 ოქმი. რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად, დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES01900038144 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

5. ასევე გამოვლინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს წყლების შესაგროვებლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბერთაკარის მიმდებარედ, მოწყობილი აქვს 17 800 მ3 მოცულობის სალექარი, თუმცა აღნიშნულ საქმიანობაზე არ გააჩნია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ამდენად, დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 797 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051572 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად, დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES11900038172 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

მტკიცებულება:
დანართი 16. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 10 მაისის #09/01-212 წერილი;
დანართი 17. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 3 ივლისის N 6628/01 წერილი

12. ფაქტობრივი გარემოება
მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა სამინისტროს მიერ მიღებული ზომების შესახებ შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის მიერ სამინისტროსა და საზოგადოებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და ბექთაქარის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მოწყობილი რეზერვუარი-სალექარისათვის მოტყუებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვების მცდელობასთან დაკავშირებით. რაზეც სამინისტრომ გვაცნობა, რომ „შპს ,,არ ემ ჯი აურამაინის'' მიერ განხორციელებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული

რეაგირება და შედგენილი სამართალდარღვევების ოქმები განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოს“.

მტკიცებულება:
დანართი 18. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 9 ივლისის #09/01-214 წერილი;
დანართი 19. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 ივლისის N7352/01 წერილი

13. ფაქტობრივი გარემოება
ვინაიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 ივლისის წერილიდან ნათელი იყოს, რომ სამინისტროს თანამშრომლებს არაფერი გაუკეთებიათ კომპანიის მიერ საზოგადოებისა და საჯარო უწყების მოტყუებით ნებართვის მოპოვების ფაქტზე რეაგირებისათვის, მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს სამოხელეო გულგრილობის და/ან კორუფციული გარიგების შესწავლის მოთხოვნით მიმართა. პასუხად მივიღეთ, შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის ჯემალ დონაძის პასუხი, რომლის თანახმად, სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციაა გარემოსდაცვითი კუთხით კანონდარღვევათა ფაქტებზე რეაგირება.

მტკიცებულება:
დანართი 20. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 23 აგვისტოს #09/01-215 წერილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს თამარ ფიცხელაურს; დანართი 21. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის ჯემალ დონაძის 2019 წლის 3 სექტემბრის N8686/01 წერილი.

14. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 8 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, ნინო თანდილაშვილს მიმართა შპს არემჯი აურამაინის გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ. წერილში აღნიშნული იყო, რომ 2019 წლის 12 აპრილის საჯარო განხილვის შემდეგ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ საწარმოო ტერიტორიის შემოწმება, რაზედაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. ვინაიდან მიმართვის მომენტისათვის შემოწმების პროცესი დასრულებული იყო შპს-მ მოითხოვა პროექტის განხილვასთან დაკავშირებული წარმოების განახლება.

მტკიცებულება:
დანართი 22. შპს არემჯი აურამაინის გენერალური დირექტორის 2019 წლის 8 ივლისის # 63 წერილი

15. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N 2-1010 „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“. ბრძანების თანახმად, შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N103 (17.10.2019) გაიცა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.9. ქვეპუნქტის საფუძველზე.

მტკიცებულება:
დანართი 23. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N 2-1010 „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“.

16. ფაქტობრივი გარემოება
ჩვენი 2019 წლის 24 ოქტომბრის მოთხოვნის საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **2019 წლის 11 ნოემბერს გადმოგვცა:** 1. ჩვენი 2019 წლის 15 აპრილს #09/01-210 წერილით შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის მიერ კანონდარღვევის ფაქტის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებისა და ფაქტის შესწავლისათვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებების ამსახველი სრული დოკუმენტაციის ასლი; და 2. შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

მტკიცებულება:
დანართი 24. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 24 ოქტომბრის 09/01-218 წერილი;
დანართი 25. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 11 ნოემბრის #11068/01 წერილი -1 CD.

17. ფაქტობრივი გარემოება
2019 წლის 25 ნოემბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ" ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს მთავრობაში სზაკ-ის 178.3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი „შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N 2-1010.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით GOV 3 19 000 47970 განუხილველად დარჩა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N 2-1010 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.
წინამდებარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, თუ კონკრეტულად რომელ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით დაასკვნა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებაში N2-1010 განმარტებული მისი სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და რატომ არ უნდა განიხილოს სზაკ-ის 178.3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი ადმინისტრაციული საცივარი საქართველოს მთავრობამ.

მტკიცებულება:
დანართი 26: ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივარი;
დანართი 27: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით GOV 3 19 000 47970.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N 2-1010 ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1.სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1.სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმარლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ.სარჩელი).

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, რომლის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ.#6.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

გასაჩივრებული - „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N 2-1010 - გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნას ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო. კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია:

I. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლი: 1. გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული

სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. თუმცა, სამინისტრომ შესაძლებლად ჩათვალა II დანართით გათვალისწინებულ უკვე განხორციელებულ საქმიანობაზე გასცეს სკოპინგის დასკვნა.

II. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას ითვალისწინებს მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობებზე.

კოდექსის მე-3 მუხლის ს) ქვეპუნქტის თანახმად, სკოპინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს. დ) ქვეპუნქტის თანახმად, კი გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ – გზშ) – არის შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და, სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება ეკოლოგიური აუდიტის (და არა გზშ-ს საფუძველზე, რომელიც მხოლოდ დაგეგმილის საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურაა) საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ამ საქმიანობის ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების კომპლექსურ ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს, ტარდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების საშუალებების დადგენისა და აღნიშნული საქმიანობის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, კოდექსის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ისეთ საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება (47-ე მუხლი).

III. შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის მიერ სამინისტროში განსახილველად წარდგენილი დოკუმენტის თანახმად, ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მშენებლობა მხოლოდ დაგეგმილი იყო და კომპანია სამინისტროს წარუდგენდა სკოპინგის ანგარიშს იმისათვის, რომ საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში დადგენილიყო გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასებისათვის საჭირო კვლევების მასშტაბი და მეთოდოლოგია. თუმცა, როგორც სამინისტროსთვის გახდა ცნობილი საქმიანობა უკვე განხორციელებული იყო, ზემოქმედებას უკვე ადგილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა სამინისტრომ გასცა სკოპინგის დასკვნა, რათა პროექტს ჩაუტარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება - ანუ მოხდეს არა არსებული ზემოქმედების შესწავლა, არამედ ზემოქმედების პროგნოზირება, როგორც ეს კანონის დაცვით საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ხდება.

IV. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლი
1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.
3. სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს:
ა) დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:
ა.ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
ა.ბ) დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი, საწარმოო პროცესი, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა და სხვა) შესახებ;
ა.გ) დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;
ბ) ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში, მათ შორის:
ბ.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
გ) ინფორმაციას ჩასატარებელი საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ საბადოს დამუშავების გეგმას (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტს), საჭიროების შემთხვევაში;
ე) ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

შპს „არ ემ ჯი აურამაინს“ კოდექსის მე-8 მუხლით მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარუდგენია. შპს „არ ემ ჯი აურამაინს“ რეზერვუარი უკვე აშენებული ჰქონდა და წარადგინა აბსოლუტურად ცრუ ინფორმაცია. აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო სამინისტროსთვის.

V. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4. ნაწილის თანახმად, სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომელიც მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება გრძელდებოდა 2019 წლის 21 მარტიდან 24 ოქტომბრამდე; ამასთან ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ მოიპოვება გადაწყვეტილება წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე.

მე-6. ნაწილის თანახმად, სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას - თუმცა, როგორ უნდა მოამზადოს შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომლიც მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობას შეიძლება ჩაუტარდეს - გაუგებარია.

მე 8. ნაწილის თანახმად, სკოპინგის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ - ამის ყველა წინაპირობა არსებობდა.

VI. მუხლი 14. საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება
1. მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ: ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას - სამინისტროს ჰქონდა საკმარისზე მეტი ინფორმაცია საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ - საქმიანობის განხორცილება უკვე დაწყებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების უხეში დარღვევით; ხოლო შპს ითხოვდა სკოპინგის დასკვნის გაცემას თითქოსდა მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობაზე.

VII. საქართვლოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არაფერი გააკეთა შპს არ ემ ჯი აურამანის მიერ საზოგადოებისა და თავად სამინისტროს მოტყუების მცდელობის აღსაკვეთად.
სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა არ იხელმძღვანელა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის #61 დადგენილების 22 მუხლის მე-3 და 3^1 ნაწილებით, რომლთა თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულის სავარაუდო ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ინსპექტირების აქტი ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და საქმის სხვა მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს; ხოლო, თუ ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც არ წარმოადგენს დეპარტამენტის კომპეტენციას და დეპარტამენტისათვის ცნობილია, რომელი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია, საქმის მასალებთან ერთად, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.

ნაცვლად აღნიშნულისა, სამინისტრომ არათუ აღკვეთა, არამედ წაახალისა კიდევაც მსგავსი ქმედება და უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გასცა სკოპინგის დასკვნა, რომელიც მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობის შემთხვევაში გაიცემა. აღნიშნულით ცალსახად დასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მინიჭებული საჯარო უფლებამოსილება განახორციელა კანონსაწინააღმდეგოდ ადმინისტრაციული პრინციპების უხეში უგულებელყოფით, რის გამოც სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბატილად უნდა იქნეს ცნობილი - „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს

მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N 2-1010.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება GOV 3 19 000 47970, რომლითაც განუხილველად დარჩა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N 2-1010 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1.სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ.სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს მთავრობის მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი. პ.ინგოროყვას ქ.#7.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2. სზაკ-ია 183.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

2.3.სზაკ-ის 201.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;

გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2.4.სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

სზაკ-ის 185-ე მუხლის თანახმად თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით

გათვალისწინებული დებულებანი.

2.3.სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

სზაკ-ის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, სადაც ზემოაღნიშნული გასაჩივრების ვადის დაცვით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადნიმისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას, რაც განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს მთავრობამ არ განახორციელა, როდესაც არ განიხილა წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი და გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის მითითების გარეშე აღნიშნა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებაში N 2-1010 განმარტებულია მისი სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არ განსაზღვრავს სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესს, აქედან გამომდინარე, გაუგებარია, კონკრეტულად რა სამართლებრივი საფუძველი გამოიყენა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, როდესაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N 2-1010 ბრძანების გასაჩივრების წესში სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ მიუთითა მაშინ, როდესაც თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი სზაკ-ის 178.3 მუხლის თანახმად პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რაც სწორედ სზაკ-ით დადგენილი წესით ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობას გულისხმობს, რომელიც მოსარჩელის მიერ განსახილველ შემთხვევაში სრულად იქნა დაცული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები.
სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
დაევალოს მოპასუხეს წარმოადგინოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

სასამართლოს წინაშე ვშუამდგომლობთ, რომ წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში აღინიშნოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ. კერძოდ: **შეჩერდეს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N 2-1010 ბრძანების მოქმედება**.

არგუმენტაცია:

შუამდგომლობა წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების აღნიშვნის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაშვებობის წინაპირობებს, შესაბამისად სარჩელი მიღებული უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში და ცნობილი უნდა იქნეს დასაშვებად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

ამავე ნორმის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე.

კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;
ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
3) ეს გათვალისწინებულია კანონით;

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი არ ექცევა სასკ-ის 29.2 მუხლით განსაზვრულ ჩამონათვალში, ამავე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სარჩელის წარმოებაში მიღებით, მისი მოქმედება ჩერდება ავტომატურად ანუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კანონმდებელი სასამართლოს არ ავალდებულებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებით დაასაბუთოს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მიზანშეწონილობა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე სარჩელის აღძვრისას, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაში ამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მხოლოდ კანონისმიერი საფუძვლით ხდება სასამართლოს მიერ სადაო აქტის მოქმედების შეჩერება (ადმ.საპ. კოდექსის 29.1 მუხლი, კანონისმიერი შეჩერება, სუსპენზიური ეფექტი).

იმ შემთხვევაში, მიუხედავად ზემოაღნიშნული დასაბუთებული მსჯელობისა სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობას წარმოვადგენთ ასევე სასკ-ის 29.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით.კერძოდ, წინამდებარე სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებში წარმოდგენილია საფუძვლიანი და დასაბუთებული მსჯელობები, რომლებიც დამტკიცებულია სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებით და რომლებითაც ცალსახად არის დადგენილი, რომ განსახილველ შემთხვევაში დადასტურებულად არსებობს დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N 2-1010 ბრძანების მოქმედების სასკ-ის 29.3 მუხლით განსაზღვრული შეჩერების წინაპირობა...

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

სარჩელის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.	

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☒	მტკიცებულება: იხ. ადმინისტრაციული საჩივარი.
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. შპს არემჯი აურამაინის გენერალური დირექტორის 2019 წლის 21 მარტის წერილი - ელ.ვერსია;
2. 2019 წლის 28 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - ელ.ვერსია;
3. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 15 აპრილის #09/01-210 წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს - ელ.ვერსია;
4. მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილი 2019 წლის 23 აპრილის N 4135/01 - ელ.ვერსია;
5. საჯარო განხილვის ოქმი - ელ.ვერსია;
6. არასამთავრობო ორგანიზაცია „საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის“ 2019 წლის 15 აპრილის #გ-116 წერილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს - ელ.ვერსია;
7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 2019 წლის 23 აპრილის #4136/01 წერილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს - ელ.ვერსია;
8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 2019 წლის 24 აპრილის წერილი #4143/01 სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს - ელ.ვერსია;
9. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ნინო თანდილაშვილის 2019 წლის 12 აპრილის #3766/01 წერილი სსიპ-ებს - ელ.ვერსია;
10. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2019 წლის 23 აპრილის წერილი - ელ.ვერსია;
11. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 8 მაისის წერილი - ელ.ვერსია;
12. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის 2019 წლის 19 აპრილის წერილი - ელ.ვერსია;
13. სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს 2019 წლის 17 აპრილის წერილი - ელ.ვერსია;
14. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2019 წლის 17 აპრილის წერილი - ელ.ვერსია;
15. სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს 2019 წლის 19 აპრილის წერილი - ელ.ვერსია;
16. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 10 მაისის #09/01-212 წერილი - ელ.ვერსია;

17. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 3 ივლისის N6628/01 წერილი - ელ.ვერსია;
18. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 9 ივლისის #09/01-214 წერილი - ელ.ვერსია;
19. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 ივლისის N7352/01 წერილი - ელ.ვერსია;
20. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 23 აგვისტოს #09/01-215 წერილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს თამარ ფიცხელაურს - ელ.ვერსია;
21. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის ჯემალ დონაძის 2019 წლის 3 სექტემბრის N8686/01 წერილი - ელ.ვერსია;
22. შპს არემჯი აურამაინის გენერალური დირექტორის 2019 წლის 8 ივლისის # 63 წერილი - ელ.ვერსია;
23. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 23 აგვისტოს #09/01-215 წერილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს თამარ ფიცხელაურს - ელ.ვერსია;
24. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 201 9 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N 2-1010 - ელ.ვერსია;
25. მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 24 ოქტომბრის 09/01-218 წერილი - ელ.ვერსია;
26. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 11 ნოემბრის N11068/01 წერილი - ელ.ვერსია;
27. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი - ელ.ვერსია;
28. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით GOV 3 19 000 47970 - ელ.ვერსია;
29. სარჩელის ელექტრონული ვერსია
30. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - ელ.ვერსია;
31. რწმუნებულება - 2 ფურცელი;
32. სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი;

ფურცლების საერთო რაოდენობა: 3

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი	06.12.2019
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.